



# სიმღერები

საქართველოს საბჭოთა კავშირის  
სამსახურის მიერ  
1916 წლის 2 მარტი

მიმღერები

1916 6

გ. ლეონიძე =  
რედაქციონური



### სეღის ქასოლი.

გემუდარები შემიტარო შენს მყუდროებას!...  
ვერ შეეთვისა სული ჩემი ამ ყრუ დროებას!

აღესილვარ შენის ფხილავის ძლიერის ნებით,  
შენდამი სურვილს მივცემული გულგაშმაგებით...  
ოდეს ნაზ სიცილს სოფლისათვის ფრთა გადაუკრავს,  
ან რომ შენს მთხრობელს გრიგალს შავად წარბი შეუკრავს—  
შენ ერთს გიგონებ მთელის გზნებით და აღტაცებით!...

აღმინთე გულში სიყვარულის ცეცხლი მხურვალე...  
წყიმიან დარში ვაველ კარში შეით მწყურვალე ..  
მითხვეს: განთაღას თამ ამოსდევს და ყვავილ-ვრდობს.  
მითხვეს: ფრინველთა ჟრიამული იგი ნავარდობს.  
მითხვეს: ნამი რომ ათას ფერად ავლგმნდება,  
იმ დროს იფხიზლე, რას ჩურჩულში მოგელნდება...  
და ისიც მითხვეს, შენს ახლოა დღე და ღამეო...  
თურშე მეძახი და მამნევებ შენც ხმა გამეო——  
ახ! სასურველო! ბრმა რად ვიქმენ, რად ვერა გხედავ?!.  
მე ამას ცოდვად ნუ ჩამითვლი და გაგიშედავ,  
გთხოვს სიყვარული: შენი მეგეთრი გულში დამეო!  
ეს მრწამს: სიკედილი შემაერთებს შენს მყუდროებას,  
ხოლო დღეს რა ვეჭნა? ვით განველტო ამ ყრუ დროებას?

მკერდგალელილი შენს სიყვარულს ჩავსაფრებივარ.  
რომელ გზით მოხვალ? შენს მოლოდინს გადავებივარ...  
ვაი თუ ერთს დღეს მომევლინო ანაზდეულად,  
და მე დაქანცულს არ მელვიძოს, ვეგდო ეულად.  
ისევ წახვიდე უხილავი, ზესამფლობელი,  
კვალი დასტოვო სულისათვის მეუცნობელი,  
რომ იგი კვალი ვიხილო და გული დამწყვიტოს...  
ან ხსოვნა ჩაჭკალ, ანუ მოსპე შენი მკობელი!..

ჩემს ნათელს გრძნობას განთაღადზე მძიგად ანაგებს,  
უმანქო ტრტობას, გულის ნატერას და რაც მაშმაგებს  
კრძალვით წარუცლენ შენს სამსევერილოს ალმასით ნაგებს?  
თუ შენთან დავშთე, სიბრძნის ხელი ჩემს სულს განაგებს...  
ზეშთავონების ისრად ნეტამც მკერდს განმეტარო,  
ჩავსწვდე შენს ჰანგებს,  
რომ შემდეგ შენით ჩემს ნექტარზე სხვა ვანეტარო ..

ახ სასურველო! ნუ იბურავ შავს მყუდროებას...  
სული გეძახის: დამხსენ! დამხსენ ამ ყრუ დროებას!..

## გ უ ლ ი.

გულიო?.. ეს გული რა არის ნეტავი?  
 თაფლის და ბალობის მსმელი და მწვეთავი,  
 ხან თეთრად მლიმარე, ხან შავად მკვნესავი,  
 ხან სევდის მთოველი, ხან ლხენის მკვესავი!  
 მსოფლიოს მკაზავი, სიცოცხლის მკონბელი,  
 ხან ბილწი ტერსიტი მფურთხავი, მგმობელი!  
 გველის და მტრედისა მიზეზი-მშობელი,  
 ცხოვრების უფსკრულში— მზე მანათობელი?!

ღელავს და იმასთან რა არი ზოვის ღელვა?  
 წყრება... და იმის წინ ფისარდება ცის ელვა!  
 სიმშვიდე გულისა— ყვავილთა რულია,  
 სამეფო ინისი ვრცელ უსაზღვრულია! .

გულიო?.. ახსნისთვის მივმაჲ თოთ ანატომს.  
 იგი ჩვენ არ გვიქებს ცისაკენ ანახტომს:  
 „გული არს“, მოგვიჭრის ეს გულთა გამჭერი,  
 „ჯირკვალის ოდენა ხორცისა ნაჭერი!..“

კ. მაყაშვილი

\* \*  
 შენი ჭირიმე, ბუნებავ,  
 შენი უკვდავი ძალისა,  
 მიყვარხარ როგორც დედის მზე  
 ტკბილად სამზერო თვალისა.

წარსულის დამტარებელო,  
 მშობელო მომავალისა,  
 შენ მაინც ალარ მოვწყინდა  
 ცერა ამ ცოდო ბრალისა?!.  
 როდემდის უნდა იტირონ  
 დედის გულმა და თვალებმა,  
 როდემდის უნდა იკვნესონ  
 ლამაზმა შავგვრემანებმა!

თუ განთიადი არ მოდის  
 და მზე არ მოსდევს დიალი  
 ბარემ დაბნელდეს ქვეყანა  
 გაზდეს ერთბაში წყვილი.  
 რომ გადაუწყდეს საწუთროს  
 სიცოცხლის უარმყოფელსა:  
 არა და შექი დაადგეს  
 ყველგან თანაბრად სოფელსა.

შიო მღვიმელი.

## ჭლუმა ქსელი.

ისე სევდით სავსე არის მაგ ლურჯ თვალთა მზერა,  
 ვით სიღლერის დასასრულში გულსაკლავი ბგერა,  
 ისე მოსჩანს შენი მკერდი ფიფქის სარეცელზე,  
 ვით ლოტოსი ჩამომჭენარი-ჩამოთოვლის ველზე!  
 ისე გმინავს შენი გული კვნესით დანაბზარი,  
 ვით მონასტრის სამრეკლოზე გატეხილი ზარი!  
 შენს თხელ ტუჩებს ხმის ლანდები ისე თრთოლვით სწყდება,  
 ვით ვაშლის ხეს ბინდის თვეში მჭენარ ფოთოლთა წყება!  
 სუნთქვით ისე ირხევიან ეგ ჩანჩქერა თმები,  
 ვით სიკვდილის მუსიკაში მოვონების ხმები!

თვალებს ნაბავ და ხსოვნაში იწვევ მოგონებებს,  
 იწვევ მზე-ჭარბ გაზაფხულებს და ცეცხლ-ნარევ ვნებებს! წ  
 გულის ცემას, ცრემლიან ფიცს, ქურდულ მუდარებას,  
 კუცნას, ლამაზ სისულელეს და კვლავ განშორებას! წ  
 მაგრამ შენში ის წუთები ისე სწრაფად ჰქონება,  
 როგორც მაშინ, იმ წუთებში შენი მოფიქრება!  
 ხელებს იწველი, მზეს სთხოულობ, მზისთვის გიორგის სული,  
 მაგრამ სარმლით ცივად გიმზერს მთვარე ფერ წული! წ  
 შენც ფერ-წასელით ისე ჰქონები სულის ნაზ ბრძოლაში,  
 ვით გაწყვეტილ სიმის კვნესა საკუთარ თრთოლაში!...


რა კარგი ხარ ეხლა, ემაგ სახელ უთქმელ წამში,—  
 როცა ახლად გადასდიხარ ახალ დასაბაზში,  
 შენს თვალებში ცივად მოსჩანს: სიკვდილის ზმანება,  
 და ამ სოფლის განშორების მწარე შენანება...  
 და მებრალვი...

— რათა, მე ხომ ჩემს მიზანსა ვ! წყდები?!

— როგორ?

— ტურფად ვიტანჯე და... ლამა... ზალა ვ-კ-ვ-დ-ე-ბი!...

ს. ფაშალიშვილი



### ქ ე რ ბ ქ.

ვიცი მხარე ჯადოსნური, ვნახე სიზმრის გაცხადებით,  
 ვერ შეისმენთ მიწიერნო.

ცრემლით ნაშენო, ვერ მისწვდებით.

მუნ შაირობს სული ჩემი აგზნებული ცისკრის ხმებით  
 და თქვენ, ყმანო სამარისა, მიწაზედან როცა ჰკვდებით  
 სამუღამო სამშობლოსა ხომ აროდეს ელოდებით?..

მე კი, ვიცი მხარე წყნარი,

ჩემგან არის შენათხზული

თქვენი სევდით დაქანცული,

მიისწრაფის იქით სული.

იქ ლაუგარდიც არის ნაზი, და სათუთი ვით პეპელა,

იქ, სიმშვიდეს აცისკროვნებს

შვიდად შლილი ცისარტყელა.

იქ ოცნებაც არის ამო და

უგავილიც არა სჭენების,

ოცნებე იმ კოცნაზე, რომელიც არ გაცივდების,

ოცნებე სიმლერაზე—ბალჩს ნამად დააღნების—

მხარე მეფურ დუმილისა და სამშობლო უკვდავების.

ჩამაგალ მზეს როს უცქერი, დამეხსენით მიწის ხმებო,

მსურს გაღელილ ზამბახებთან

უხილავზე ვიოცნებო...

მსურს ოცნება იყოს წყნარი, და ფიქრებიც იყოს ნაზი,

მსურს ვარსკვლავად იქცეს სიტკვა,

ეტრატზედან დანახაზი...

მსურს მიგიწვდე საიდუმლოს, ლამის ეტლით ვინ დაფრინავს,

ხან ცეცხლს ანთებს ფერადნაირს

და ხან ცელიც ხელთ უბზინავს.

ხან ყვავილებს აყვავილებს თავის მეფურ გულისთქმისთვის,


ხან ჩააჭკნობს საბრალისად,

ნეტავ რადა, ნეტავ რისთვის?!

აქ არა ხარ-შე გიუმაურ, აქ არ ჰსუფევ ძალთა ძალო  
აქ მსურს ბავშურს შენს ყიუინას  
თუ როგორმე დავემალო.  
აქ ეს მხარე მშვენიერობს უკვდავების ძალთა გამო  
აქ სამშობლო სულისაა, საუკუნო, სამუდამო...  
როს იქმევა ლოცვა ჩემი, აქ მოისმენო სიტყვას მეფურს  
და ვინ შევა გაშლილ კარავს, ვინ მიაგნებს ამ საფეხურს?..

როს ისმოდის გედის ჰანგი, სულში ჩადგა გაზაფხული.  
შევიმოსე გვირგვინებით ვით ჭაბუკი მეფის წული!  
ავეგზნე და ცეცხლად ვიქეც—  
მერანზედან შფოთავს სული  
და მოვფრინავ ხელში რახტით, ბრძოლის უინით ფერ-წასულა:  
აქ შევმენი მღუმარება აქვე მინდა ვიგვირგვინო,  
გზა მიეცით ჭაბუკს მეფეს!  
მიაგებეთ თასით ღვინო!  
დაამზადეთ პორფირები, დაამზადეთ ფარჩეული  
ბისონი და ალმასები ქურუმთაგან დარჩეული.  
იზეიმეთ!  
და სიცოცხლევ, ამას იქით უნდა სჩეფო,  
სულს სამშობლო აწ უჩახავს,  
უპოვია სულს სამეფო!..

გ. ლეონიძე.



### ჟავასენელი ლექსი.

არა მყავს ქვეყნად მე მეგობარი,  
არა მყავს ქვეყნად თანამგრძნობელი:  
ჩემი სიცოცხლე — სიკვდილი არი  
ჩემთვის კუბოა — მთელი სოფელი.  
დაირღვა ჩემთვის ოცნების მღვიმე,  
ხილი ჩამენგრა ცხოვრების გზაზე;

მარტოსა მტანჯავს ბედის სიმძიმე,  
სული ქვითინებს საფლავის ქვაზე...  
მშხამვენ გველები კიდითი-კიდე,  
გლოვად მიქციეს დღესასწაული;  
თუმცა,.. წამებით თვითვე ვიყიდე  
კაცობრიობის დანაშაული...  
კიკნა-ფშაველა

### სიუპარული.

რატომ არ დამეხსნები, ნიავო, რატო არ დამეხსნები! — წამოიტურჩულა იამა.  
— არ დაგეხსნები, არა, გაიგე თუ არა? — წაუსისინა ნიავმა. — ეო! ღმერთო ჩემო სად  
შიაქვს ე თავი? რა გაქვს სატირალი?.. ერთი უყურეთ, როგორ გალურჯებულა!.. ე! მოგწ-  
მინდე ცრემლი თუ არა?! ახლა გაკოცო... აჲა! ესაც ასრე ..  
— რა არის, ღმერთო ჩემო? არც დილითა ვარ ამისაგან მოსვენებული, არც სალამოთი!  
— აიღე თავი მაღლა, აიღე! აგე რა დილა! მთლად ოქროს სამოსელშია გახვეული!..  
ყველა შეჰარის, შენ რაღა ღმერთი გაგიწყრა?  
— რა მაქვს სასიხარულო? აბა მითხარი, რა მაქვს სასიხარულო?.. გუშინაც მოფრინდა  
ბულბული და ისევ ვარდს უმღერა. მთელი ლამე იმასთან გაათენა... მე კი ზედაც არ შე-  
მომხედა!.. ეხლაც იმასთან არის... სძინავს.  
— მერე და მე რითი მჯობიან ბულბული? ჩემი ნანა უფრო გულის მაამებელი არ არის?  
— რა ვენა, ნიავო, რა ვენა? გულში ჩამიგარდა და ვიტანჯები.  
იამ ამოიხრა და პატარა ბუჩქი სულნელებით გაივსო.



ნიავს შეეცოდა გულდაკოდილი ყვაილი, მოიქმნა მიმობნეული სულნელება კალთაში და ბულბულთან გააქანა.

— ჩიტუნავ, გაიღვიძე! გეყოფა ძილი! — ჩაპისინა ონავარმა ბულბულსა. — ნუ გატ-რუნულხა! სულ ერთია არ მოგასვენებ! აპა, აი შენის სიყვარულით გამსჭვალულის ის ოხერა მოგიტანე აა ნახე ამ ვარდში ისეთი, რომ სხვა ყველაფერი გავიწყდება?.. შეიბრა-ლე ია, შეიბრალე!.. ღმერთო, რა მაგრა სძინავს!.. ბულბულო! ბულბულო!.. დიდება შენ-თვის, უფალო, რომ არ ინძრევა?! ბიჭოს! ეს რა არის?! სისხლი?! სისხლი! სისხლი!..

ბულბულს ბასრი ეკალი შესმოდა გულში და სული გასცეიგნოდა.

— ჩემი მგოსანი იყო. — ამცნოვა ვარდმა ნიავსა. — ჩემი დახსნა უნდოდა ტყვეობიდან.. აი, ამ ბასრშტბიან ჯარს შემოუტრცუამო ჩემთვისა. — ყვაილთა დედოფალმა თვალი თავის ეკლების ხროვაზე შეაჩერა და სახეზე მდუმარე მწუხარება გამოეხატა.

ნიავი ათროთლდა, გულმა ცემა დაუწყო, წყნარად დაიხარა და უსულოდ მდებარე ბულბულს მოკრძალებით ეამბორა შუბლზედა, იას ოხერისაგან გვირგვინი გამოსწნა და თავზე დაადგა.

ინ-ბანი

## ცილულის გადაღება.

უხსოვრ დროდან, ფერადად ნაქარგ ზურმუხტ მიდამოს მკერდზე ვიდოდა იგი.

გარდუვალი, სევდიანი, გზნეული, ნაღველმორეულ სახით ვიდოდა იგი სასაფლაოდ ჟცეულ სამშობლოს გატილებულ ველზე.

სახიერება მისი იყო უჭინობი, ნორჩი, მსვლელობა მისი იყო ბედითი, ცვალებადი, რხე-ვა მისი იყო ნარნარებით ზრავალ ფერადი.

როდესაც გამარჯვებული ლაშქარი სამშობლოს კერისაკენ ნიავქარივით მოაფრიალებ და ძლევამოსილ დროშას, იგიც — უკვდავი, ხელთუქმენლი — მარტორქა რაშით მოჰქმდა მის წინ, გამარჯვების მახარობლად და შლილს დალალებს დროშის ნაცვლად აფრიალებდა.

მისი ზენური ქროლვა, ცხენოსანშა თქარა-თქური, აბჯრის ქლერა ახმაურებდა ტყე-ლრეს, ველ-მინდორს, კარმიდამის... .

მის მომზირალი მოსახლეობა, წამოხრალ ქოხმახების წინ, ბროლ კბილთა ელვარებას გამოსცემდა და მასთან ერთად ცეკვით ჩამოუვლიდა ტურფად გადაშლილ წალკოტებს.

მისი ყოველი ზენქა ქრუანტელს ჰეგრიდა დედამიწას...

ბუნება მეჯლისობდა ხალხთან ერთად...

იდგა ქრიამული... კისკისი...

გამარჯვებას დღესაც წაულობდა ქვეყანა!

ეს იყო ხორცსხმული გული ამირანის სამშობლოისა, ეს იყო უკვდავი სული საქართვე-ლოს სასიცოცხლო ციალისა, ეს იყო უნაზესი ფრთინვა ქართველის ფრთაშლილ შემოქმე-დებისა...

\* \* \*

ერთხელ, როდესაც ქართველის ობმოკიდებული გული სოფლემდა, თვალწინ განუგმი-რეს ქურუმი სიყვარულისა, მოძლვარი დაბნეულ ცხოვართა, აქვითინდა იგი, ბნელი ზეწარი გადევინა მის სულს...

ქართველის სულიც აკვნესდა, გულს უნგი გადიწმინდა, მწუხარების ძამამოსილმა ნა-ცარი წაიყარა თავზე და სათაყვანო ქურუმის ნეშტი მოწიწებით მიაბარა საქართველოს მუდმივ გუშაგს, მოლრუბლულ მთა წმინდას!..

\* \* \*

ერთს კაშკაშა, ვარსკვლავებით მოკემციმე ლამეს, იგი — დათალბული, — დაფნის გვირ-გვინით დაეშვა მთაწმინდაზე მისთვის წამებულის სამარესთან, მწუხარებით თვალმილული ერთწამის იდგა, ობოლი ცრემლი მარგალიტივით ჩამოუგორდა ციმციმა ღაწვებზე...

და მყისვე ფრთაგაშლით განსრიალდა სიცოცხლით მთრთოლი, კისკასი, რომ სამშობ-ლოს მხნელად ჭაბუკთა გულში თვისი სახება ჩაექსოვა.

ეს იყო საქართველოს გარდუვალი სული!

ხელოვანმა თვალი მოჰქრა მის წამიერ სევდას, ბურუსში გახვეულ სინამდვილედ აქცია



ჩვი და განწირულის სამარეზე ამართა მწუხარე დედის ძეგლი — ეს მკრთალი ანარექლი ანგ ნაარის ქვეყნად ვლინებისა...

იგი კი, მუდმივ მოკიალე, მუდმივ ნორჩი, შუდმივ მგზნებარე დასორთის საქართველოს არე-მარეს და თავისი გრძნეულებით იტაცებს მომაკვდავთა სულს ხილულის გადაღმა!..

ნეტავ იმას, ვინც ხილულის გადაღმა განცდილს სინამდვილედ აქცევს და ყოველს მის ღვთიურს ფეხქვას სინამდვილის სახიერებად ჩამოჰქინის...

ნარკანი.

## იჩედის დილა.

სიცოცხლემ ფრთა გაშალა.

დილა იყო — მჩქეფარე, დილა — როცა სხივებად იფრქვეოდა მზე ამავალი...

მიწა იცინოდა ვნების ქრუანტელით აბურუსებული, და ცა იცანოდა — ხალისით ლიათ, მთელი არსებით იცინოდა ცა, საიდუმლოებათა უშრეტი წყარო... იცინოდა...

ჩიტების ურიამული მწყობრ ჰანგით იყო განცეული ქვეყნის ჰერში და შეგუბებული აკეორდები ჰერავდენ სასიყვარულო გალობის კამარას სიმალეში — როგორც განთიადის ლახვარი, როგორც საალდგომო რეკა.

უსაზღვროთ გადაშლილი ზღვა მზეს იხუტებდა, აბანავებდა, ლელავდა ღრმა სიხარულით და ზეირთების ჩევით ცაგ სხივებში ელავდა, ელავდა...

მდინარეს მთებიდან ჩამოჰქონდა კუშტი ხალისი და ველური ხარხარით ბარს ათრობდა, ართობდა, უნანინებდა. ვერცხლის ტალღებს ქოჩად აკლავდა ნაპირებს და ძირს გიური სიმღერით ჩაჰქონდა მაღლა ნაშობი ატეხილი ვნების ყიუინი...

ტყე ზრიალა მეერდზე იხუტებდა დაუდგრომელ ნიაგს და ჰერცავდა კოცნის მუსიკ, დაათრობდა მხიბლავ ზღაპრებით და შემდეგ გასრესილს გასროლიდა, არ უსმენდა, რდგა ამაყად დუმილით და დასცინოდა აკვესებულს გიმაჟა ნიაგს...

ყველაფერი სრმლერად იყო ქცეული. ცეკვას ლამობდა...

ფოთოლთ შრიალიც, ტყის დუმილიც, მდინარის ხარხარი, მზის მედიდური სხივოსნობა, მიწის და ცის სიცილი, ზღვის გადაშლილი ღიმილი და ტალღათ ჩოჩქოლი, ჩიტების ურიამული წარმოადგენდა ერთს უქლეველ ძახილს...

— დაითვერით!..

სიცოცხლემ ფრთა გაშალა. მიწიდან ზეცას გაება სიმი...

ის იდგა მთაზე განციიტებული. ატოკებული გასკერდა სივრცეს და გარინდული ისმენდა ნიაგის კვნესას სულ მე მიყვარს და მე კი არავის ხოლმე მიყვარს და მე-კი არავის... ტყე სდუმს... ქვეყანას არ სცალია... დავიქანცე უპასუხოდ, უალერსოდ, უსიყვარულოდ... სულ მე მიყვარს და მე არავის, მე არავის... ჰერცნესდა ნიაგი... გაურბოდა მდუმარე ცივ ტყეს და ისევ უბრუნდებოდა, აქოჩებდა... ეხუტებოდა...

— სიყვარული აგვამალლებს! — ელვათ გაებასრა მოგონება და ტკბილად ჩაეწვეთა მას ჟეგნებაში...

— სიყვარული აგვამალლებს. გადაუშრილა ნიაგმა ტყეს...

— სიყვარული აგვამალლებს — ამოიქშუილა დაბლიდან მდინარემ...

— სიყვარული აგვამალლებს — ხმა მაღლა წარმოსთქვა მან. სახე გაუბრწინდა და ცქი-ტათ შეაფრევია სულის სხივები ცის უფსკრულს...

გადახედა მიწას: საკუთარს, წარმტაც ქვეყანაში ყველაფერი მისი ენით ლაპსრაკობდა. ყველაფერში მისი ნება სჩექფდა. მისი ხალისი თქრიალებდა...

— მე მსურს დაგედვა მტრათ, ალერსად დაგადნე — მშვენიერო, ამაყად მოლერებულო ქვეყანავ — მესმი? მე მსურს ჩავნთქა შენი სიცოცხლის სუნთქვა, გავქრე შენში...

და ვეფხევით შეტრიალდა... აპზიდა მკერდი და სიმღერით დაეშვა სოფლისკენ...

შეასხით ფრთები უნუგეშოს — მოჰკალით სევდა...

იყავით მთვრალი! სილამაზევ — დიდება შენდა! — დიდება შენდა!

დილა იყო. იმედის დილა — როცა ყველა ფოთოლს ეწერა სხივით.

— სიყვარული აგვამალლებს.

და ის შეყვარებული, მთვრალი, სიმღერით დაეშვა სოფლისკენ...

სიცოცხლემ ფრთა გაშალა!..



## შესაცემი

### გრავარი

ი. გომი  
ხ. ხოთა.

...ამბავი მზის უმზირას გაჩენისა ისევე ძველია, ხანის ასულო, როგორც სევდა სიყვარულისა, ისევე უკვდავია, როგორც კვნესა მიჯნურისა, და ისევე მწველია, როგორც ქოცნა კლეოპატრასი!.. კაეშანთ აღმძვრელია ეს ამბავი, მაგრამ ლამაზია, ვით საფლავი ლეილასი, ვით იდუმალი ჭრვეტა სატროფოსი!.. მიბრძანებ განვაგრძო?

— განაგრძე ალი! — ოდნავ გასაგონის ხმათ ჩაილაპარაკა ბალჩის ხეივანში სკამზე ლალად გადაშოლლილმა ქალმა და სმენად იქცა...

მონა-ზანგმა დაიწყო.

— ზღვის პირად ამართულ თეალუწვდენელ კოშქში გამომწყვდეული იყო მშვენიერი ქალი — მზის უნახავი. გველ-ვეშაპმა მოუსპო მას არა თუ მზის სხივის განცდა, — ადამის ტომთა ნახვა და ლაპარაკიკ-კი... სევდასა და ვარამს ატარებდა მშვენიერი ქალი სტავრადიბებით მორთულ დარბაზებში; მეტყველების უნარი თან და თან უზუღნებოდა. გზა ხსნისა კი არსად სხანდა... ურიცხვ მონათა რაზმი მწყიდა ტყვე მზის უნახავს, ჯაშუშთა გროვა ეხვია კოშქს...

ქალმა იცოდა, რომ არსებობდა სხვა ქვეყანა, სხვა ცა, მაგრამ მშვენიერება ამათზე მას არასოდეს არ განეცადა. მხოლოდ წელიწადში რამდენჯერმე ჩაიყვანდა გველვეშაპი უკუნეთ ღამით მოცულ წალკოტში, დღით კი მისი მზიანი ცა ბნელი კოშკის გუმბათი იყო...

ასე მიღიოდა წლები...

ერთ დიღას ახლად გაღვიძებულმა ქალმა საიცარ რამეს მოჰკრა თვალი: კედელში დატანებულ ამოქლოლ სარკმლიდან შეზე შემოჭიატობდა... ქალი ზეზე წამოიჭრა, როგორც იყო, ასწვდა სარკმელს, და თხილის გულის ოდნად გამოტეხილ ჭურჭუტანიდან უზომო სიხარულით შეჰქისქისა მზეს... ეს იყო პირველი სალამი, მზის მიმართ მიძღვნილი, და ესევე იყო პირველი ჰიმნი სიყვარულისა...

კოშკთან მოდარაჯე საჭურისმა ყური მოჰკრა ციურ ხმას, ფრთხილად ავიდა კოშკში, გულის ფანცქალით შეაღო ტურფა ტყვის სადგომის კარები და... გაშტერდა...

აღტაცებული ქალი კვლავ მღეროდა ჰიმნს სიყვარულისა...

ახალგაზრდა საჭურისს საშინელი ტანჯვა აღებეჭდა სახეზე, საზარლად დაიღმიჭა, სასამწარკვეთილების გმინვა აღმოხდა გულიდან და გადაფიტრებული დაეცა ძირს!..

ტურფა ასული ქურციეკით გაჩნდა აის გვერდით, მკლავები შემოაჭდო გონება მიხდილს ყრმა-მონას, ბაგე ბაგეს შეწრთო და ციურის ნარნარებით უმღერა ჰიმნი სიყვარულისა... მაგრამ გვიანდა იყო, საჭურისმა უკვე სული დალია...

გააფთრებულმა გველ-ვეშაპმა ისეთის ძლიერებით გასტყორცნა ზღვისაკენ საჭურისის უსულო ტანი და მასთან ერთად მშვენიერი ქალი, რომ ზღვა გაიპო და უეცრად ჰატარა კუნძული ამოიბურკა!.. აი, ამ კუნძულზედ აღმოცენდა პირბადრი მცენარე, გულ-დაკოდილი, გულ-ბნელი, მაგრამ მზის რეალივით ყვითლად შემოსალტული, მზის მოტრფიალე - მზისუმზირა.

ტალღამ შეარხია ტურფა მცენარე, რამდენიმე ნაფლერთი მოჰკვლიჯა გულიდან და ზღვამ ხმელეთს გადმოსცა უკვდავი ნიშანი ტრფობის წყურვილისა...

მზისუმზირა ჩეარა გავრცელდა ქვეყნად... იგი ყოველ დიდებულის წალკოტს ამშვენებდა, მასთან შეერთებული იყო სახელი ორის უდანაშაულო მსხვერპლის - ყრმა საჭურისის და ტყვე ქალისა...

ერთ შემოდგომის ლამეს მზეს უმზირას ჩვეულებრივად ჩაექინდრა თვი, ყვითელი რეალი შეექცეული და ძილს მისცემოდა...

ცბიერმა მთვარემ ისეთის ელვარებით დააშუქა ნათელი, რომ მცენარემ უცბად გაილვია, — ეგონა მზეაო — და საბალომ აღერსით გადაუშალა მქერდი... მეორე დღეს მზესუმზირა უკვე გულ გადაღელილა შეხვდა ქვეყნის მანათობელს, მთვარე-კი ქურდივით მიიპარებოდა სივრცეში...


დარცხვენილმა მცენარემ თვალი ველარ შემართა მაცოცხლებელ სატროოს, ჩამოჭკნა, მოილრიცა და წაიქცა... მეწალკოტემ შორს გასტყორცნა იგი.

დიდანის ალარსად სჩანდა ამ ქვეყნად მზესუმზირა! მხოლოდ ჰატარა კუნძულზე-ლა იყო ამართული უკვდავი ძეგლი უკვდავის კეშმარიტებისა...

ერთხელ ძლიერი ზეირთი მიაწყდა მზესუმზირას და ისე გადაზნიქა რომ მცენარე წყალს ეხებოდა... სირინზი მისრიალდა მასთან და ცხვირი შეახო იშის გულს... და რა წამს ცოცხალ ასრების სიახლოვე იგრძნო, ასეთი ციური ჰანგი აღმოხდა მცენარის გულს, რომ ფაფარ აყრილი ზღვაც-კი სმენად იქცა. მზესუმზირა მღეროდა ჰიმნს სიყვარულისა... და სირინზმაც მისგან ისწავლა მომზიბლავი სიმღერა...

მთის ფერიად ყური მოჰკრა ამ ხმას, თავი ველარ შეიკავა და პეპელასავით გაცქრიალდა ზღვის პირას... გარინდებული ზღვა ნეტარებით ლივლივებდა... მღეროდა მზისუმზირა და მას ხმას უწყობდა მზის ასული — სირინზი! მუდამ ცერიალამ, მუდამ მზიარულმა ფერიამ მხოლოდ ეხლა იგრძნო განვლილ დროთა ამაოება; სულის ობლობის შავმა სევდამ ამ მშვენიერ ჰანგებიდან გამოსტყორცნა თავისი მწვავე ისარი... მთის ასულმა ველარ გაუძლო ამ ხმას, ცრემლად დამდგნარი მიეგდო ქვიშაზე და საუკუნოდ მიიძინა...

ზღვა გველივით ასრიალდა მასთან, აღერსით მიელამუნა ქვიშაზე გადაშლილ იმის ოქროსფერ თმებს, მოჰკრიბა სილაზე ალმასებივით გაფანტული ცრემლები ფერიასი, გულში ჩაიკრა და გარს უსპეტაკესი ზღუდე შემოვლო... ეს იყო პირველი ცრემლი სულის ობლობისა და ამიტომ ეწოდა მას ობლო მარგალიტი... ადამის ტომმა მიაკვლია ზღვის ფსკერში დაფარულ საზღვეს, ნელ-ნელა ამოჰკრიბა იქიდან, სამაგიერო-კი ვერ მიუწყო... შემცირდა წრფელი ცრემლი მიჯნურთა და ზღვა განდათანობით დაიცალა ძეირფას მარგალიტებისაგან... დღეს იშვიათად საპოვნელია იგი, ხანის ასულო! ვინ იცის, იქნება მაგ



თქვენს გულისპირში გაბნეულ ქინძისთავის შარგალიტი უკანასკნელი ცრემლიც იყოს ვინმე ტანჯულისა! — მოკრძალებით წარმოსთქვა ჭაბუკმა მონამდა გაჩქმდა...

ხანის ასული ქვითინებდა...

... ლამის მყუდროებაში უკბად გაისმა ზარივით წერიალა ხმა მოლლასი! იგი დილის ნამაზისათვის მოუწოდებდა ერთმორწმუნე მაჰმადიანთ... მეჩეთის მეჰქურეში (მოაჯირში) სასოებით ლოცულობდა მოხუცი ხანი და იმის სასახლის კაცნი... არსად სჩანდა მხოლოდ მონა-ზანგი ალი!..

იგი ამ დროს ხანის ასულს უმღეროდა ჰიმნს სიყვარულისას და ეს იყო ულამაზესი ფსალმუნი, თვით ალლაპის ძლიერ ბაგეთაგან წარმოთქმული, ეს იყო ღმერთთა საიდუმლო ლოცვა, ეს იყო უმშვენიერესი ზეიმი განთიადისა...

განდეგილი



## ს ი ზ მ რ ე ბ ი.

ზღვის პირათ, მოის ძირში, ქსენონი არსებობდა. სიყმაწვილეს ძლიერ გადაშორებული იყვნენ სუსტი ავადმყოფნი, მაგრამ თვალუწვდენელი სივრცე, ჰავა, საოცნება ცა და მზის სხივები ეთილად მოქმედებდენ: დაუძლურებულნიც უდარდელათ ხტოდენ, ჰყუმბალობდენ, ქვის სროლაში ერთმანეროს ეჯიბრებოდენ, ქვიშაზე დედა შობილი მიწვებოდენ და მხიარულად დარბოდნენ.

ექიმიც, რადგან პაციენტებს უკეთობა ეტყობოდათ, ნასიამოვნები დადიოდა მათ შორის.

— თქვენ როგორდა ბრძანდებით? — მიმართა ექიმია ერთს...

— სიზმრები, ბატონი ექიმო, სიზმრები მაწამებენ... თვალი ვერ დამიხუჭნია, რომ გიუივით არ წამოვარდე... ხან ოფლი დამასხამს, ხან სიცივით ვკანკალებ...

— მერე რა გესიზმრებათ ა! ეთი?

— ვერ წარმოიდგენთ... ჯერ დამესიზმრება ჩემი დედა-ქალაქი, სადაც დავბადებულვარ, აღვზდილვარ და ცხოვრების უერესი დღე გამიტარებია... ყველაფერი რიგზეა, ისე როგორც წინათ მინახავს — მიხვეულ-მოხვეული, მოუწყობელი ქუჩები, სევდის შომგვრელი ულაზათო, ლარიბი სახლები, ბალი, ნაცნობები, სხვათა შორის თქვენც, ჩვენი ზედამხედვე-

ლიც, რათქმა უნდა, დედა-მამა, მეგობრები ამხანაგები.... მერე ყველაფერი ქრება... და ც ბურუსი გადაეფარება ყოველივეს... და... შორიდან ივივე ნაცნობები, მეგობრები, ისე უცნობნიც გამოჩნდებიან, ნელ-ნელა მიახლოვდებიან... ოღონდ საიდუმლო და საზარი შე-ხედულობა აქვს ყველას და ყოველივეს: აი ერთი ნაცნობი—ისეთივე სახე აქვს, ტანი, მიხ-რა-მოხრა, ჩვეულებრივ აცია, ოღონდ გულის კარიდან გველის თავი ამოჩრილა და გამვ-ლელსა და გამომვლელს ჰქებნს... მეორე ნაცნობი უნებურათ მეზიზუება და, როცა ვაკვირ-დები, თუ რისთვის იწვევს ძველი კარგი ნაცნობი ზიზლს, მაშინ ვამჩნევ, რომ მელის ვი-ბერთელა კუდი აბია... კუდი ცხვირში მილიტინებს... საძაგლობა. მესამეს ტუჩები აქვს აკერილი... ლაპარაკის მაგირ ღმუის; ერთი ღორბლსა ჰყრის: მეორე გასისხლიანებულ ხან-ჯალს ატრიალებს და ვისაც მისწვდება მუცელში უმიზნებს ... ა, ა... ახლა ხომ არ მძინავს, მაგრამ სიზმრიდან გამოყელილი მაშინებს წუმპეში აბჭვარჭნილი... რასაც მიეკარება ააყ-როლებს...

მთელი ეს ხროვა შორიდან მიახლოვდება... ირგვლივ, ყოველის მხრით... სული მეხუ-თება... უფრო და უფრო ღამდება, და ამ წყვდიაღში არ იცი, გველის ენა მოგწვდება, ხანჯლის წვერი, ტალახი გაესცრის თუ ღორბლი მოგეცხება... მუნჯების ღმუილი, გახელე-ბული კატების კანვილი, სუნი სახლებიდან და ადამიანთა სხეულებიდან გადმომდინეარე ბაღლამისა... და ყალებაფერზე მეფობენ ჯაჭვის, ქვეყნის სიგრძე ჯაჭვის ჩხარა-ჩხური და მათრახის, ქვეყნის სისხო მათრახის ტყალაშა-ტყლუში... მე დანტე არ ვარ, ექიმო, ვერ აგი-წერთ... ჯოჯოხეთია... ნამდვილი ჯოჯოხეთი!.. თბი ყალყანება, ტანში ურუანტე-ლი მივლის.

ავათმყოფმა სული მოითქვა, ოფლი მოიწმინდა და განაგრძო:

მაგრამ მოულოდნელად რაღაც იმედი იბაფება... თითქოს ცაში, ძლიერ მაღლა ცაში, რაღაც დამამშვიდებელი ჩნდება... თითქოს მოსე წინასწავეტყველის მქეხარე ხმის გამოძა-ხილი ისმოდეს... წყვდიაღი დნება... გველები იმაღლებიან, ძაღლის პირები ადამიანის სახეებს ემსგავსებიან, მუნჯის ტუჩებს ძაფები ძერება... მიხევულ-მოხევული ბნელი ქუჩები სწორდე-ბიან, ფართოვდებიან, ნათლდებიან .. ცუდი სუნი იკარგება—გაღებულ ფანჯრების თაროზე ქოთნებში ჩარეულ ყვავილებსაც კი ვამჩნევ.. ინგრევა მეფობა ჯაჭვისა, ქვეყნის სიგრძე ჯაჭვისა და მათრახისა. ქვეყნის სისხო მათრახისა—მათი წკარუნისა და შეუილის ხმაც კი არ იმის. ჰერობს გული. მხოლოდ...

ავათმყოფი შეჩერდა და ნაღვლინად დააბოლოვა:

... მხოლოდ წუთით... უკურათ, ისევ ძველი შემზარვი სურათი.

— ჰერობს გული წუთით! მხოლოდ წუთით! — განიმეორა ექიმმა.— თქვენ ჩემზე უფ-რო ბედნიერი ხართ... თქვენ ერთი წუთით მაინც გიხარისთ გული!— და ექიმმა მაგრათ დაუჭირა ხელი ავათმყოფს.

— იცით ექიმო, სიზმრების საშინელ სურათში, თქვენ მუდამ ტუჩებ-აკრული მევლი-ნებით! ზოგს რომ ბორკილი აქვს ფეხებში შეყრილი, ზოგი ხელებშეკრულია, ზოგს რაღაც მანქანებით თავიდან ტვინს სწუწნიან, მაშინ თქვენ იქვე დგხეხართ, აი ასე, როგორც ახლა, ჯიბეში ხელს-დებული, ცოტა წელში გახრილი... და სხვებზე უფრო თქვენ იპყრობთ ჩემს ყურადღებას...

— რატომ?—დაეკითხა ექიმი.

— რადგან მხოლოდ დიდის დაკვირვების შემდეგ გამჩნევთ, რომ ტუჩები აკერილი გაქვთ... კედის ძაფით... მაგარი კედის ძაფით.

ექიმი ზანტათ შებრუნდა, ისევ დაბრუნდა. მაგრათ ხელი ჩამოართვა ავათმყოფს და ძლიერ ჩაფიქრებული სახლისაკენ წავიდა.

— Папа пришелъ! Папа пришелъ!—тут же вспомнилъ Шефферъ.

— Милейший твой папа! Моя любовь к нему искренна. Шефферъ и его жена супруги. Годы жизни.

Машин лежит на кровати. Годы жизни.

— Что такое мыльный? Кто тебе развернулся? — Была одна старуха, которая имела.

— Шеф! Шеф! Твой папа умер. Он был очень старым.

Пришло время отдохнуть.

Ежедневно Шефферъ спал поздно.

А он вчера вечером сказал... Я помню, как я был маленьким мальчиком, как я был маленьким мальчиком, как я был маленьким мальчиком.

დღიურში ამოწერილი ბიორნეს ცნობილი სიტყვები: „მე ავათ ვარ სავშობლოს ავათმყოფებით; განიკურნება იგი, და მოვრჩები მეც „.., ავათმყოფებმა, განსაკუთრებით კი ძარღვებ-აშლილებმა ხშირათ, ძლიერ ხშირათ იციან მიზეზი სნეულებისა და წამალსაც ხშირათ იპოვნიან, ოღონდ შემჩადება წამლისა კი მათ ხელით არ არის... აქ natri bronati ვერას უშველის.

საზოგადოებაში ჩვენ ექიმზე ჩურჩული გაისმის: ზოგი ამბობს, „ძარღვები აეშალაო“, ზოგი — „წლობით გულში ჩამარხულმა აღმოხეთქა და სხვა არაფერიაო“.

ობიექტური ფაქტები კი ასეთია.

წინათ ჩუმი, დინჯი ექიმი ახლა სხაპა-სხუპით ლაპარაკობს.

გუშინ ერთად მივდიოდით, მეტლეს დაუძახე: — იზვოუიქ! ექიმი შეჩერდა, შემომაჩერდა, ერთი მაგარი სიტყვა მომიაძახა და გამშორდა.

პოლიციის ბოქაულს ექიმზე შედგენილი აქვს ოქმი, ჭუჩაში ზოგიერთს განცხადების ჰვლეჯს.

ექიმი დიდ თხზულებას ამზადებს შემდეგის სათაურით: „ერის უფლება“.


ჩვენს ნაცნობ ავათმყოფს ყოველ შეხვედრაზე ჰკითხავს:

— თქვენი სიზრები?

— მაწამებენ .. — მოკლეთ უპასუხებს იგი.

საერთოდ ავათმყოფები უკეთობას ჰგრძნობენ. მათზე მოქმედებს ზოგის სივრცე, საოცნებო ცა და ზღვაში შეჭრილი, გველეშაპის მსგავსი, ტყით დაბურული მთა.

#### 6. ლორთქიფანიძე



### გედპრეზელაძის რჩაზი.

შოთაზენა.

#### I

ვისაც არ უნახავს ქუთაისი მაისში მას წარმოდგენა არ შეუძლიან ბუნების დიდებულებისა, მისი ძალა, მისი საოცნებო სურათოენება და ძლევა მოსილება. მას არ უგვრძნია ნამდვილი ნექტარი სიტყბოებისა და გრძნობა სულის ზაფხულისა.

აქ ქალაქის მოშორებით ვიწრო ხეობაში სადაც ქუთაისს აერთებს რაჭის მთებთან. არის ერთი კარგად მოზრდილი ბალი, რომელიც ქართველთა ჩვეულებრივის სიზარმაცით, იქნება დროთა ვითარების გამოც, საქაოდ მიყრულებული, მიგდებული არის.

სხვა შემთხვევების დროს, ეს ბალი შეადგენდა საზოგადოების თავმოსაწონს და სიმდიდრეს და ეხლა-კი მოუვლელი, უპატრონოდ დაგდებული, მხრილოდ დარჩენილა შათ იღუმალების შემფარებელი რომელსაც სჭირდებათ კვნესასა და ოცნებაში თანამგრძნობელი. ეს ბალი სრულიად თანაუგრძნობს ამ დღეში მყოფს და ცოტაოღნავად მოძრავიც არის სულ და გულს აღუძრავს მთელს ოცნებას, მთელს მოაზრებას და ფიქრს ფართოდ გაღუშლის შარას ათასგვარის წარმოდგენისთვის, ათასის შემთხვევის მოგონებისთვის და მის არსებას მისცემს მასალას ერთად ღონებისა და სიტყბოების საშუალებას. იქაც, რიონი ბუტბუტა, ღულუნა. მოამბე წარსულისა. მოწამე სისხლთა ფრქვევისა სამშობლოს კიდეთა ზედა. მისვე ასალორძინებლად და სჯულის, თავისიანობის შესაჩენად და ამ ხმაში, ტყბილსა და მშობლიურს სიტყბოებით აღსავს ხმაში, მოისმის კენესაც აწმყო ტკივილებზედ. ჰკვნეს რიონი, ჰკვნეს ხელოვნურად და ჰკვნეს ისე, რომ გულს სტაცებს კაცა და იგიც ეძლევა მის მიბანვას. მი ჩურხუხზედ შფოთავს სული, მოძრაობით იჩენს სიცოცხლეს და ამაყობით, აგონებს თავის შთამომავლობას!.. სწვევტს გული და თრთის იქამდის, ვიდრე ზედ დააკედებოდეს წარმოდგენილს სურათებს!.. გაჟერენდავს ხმასა, გაწამდება და ასე მიღუმებულს ფეთქვაში, ცახცახებს როგორც ბავშვი, მოჯადული მომხიბლავის ფრთოსანისაგან და სულ გაბნელის ეშინიან, რომ მოულოდნელის ამოსუნთქვისაც არგის არ განეფრთხო, არ მოჰქლებოდა მწვალებელს, მაგრამ ძირიფას არა ყოველთვის საშორაოს მაცდუ-

წებას. დიახ, ამ ადგილებს შეუძლიანთ მოგცენ' ის წუთები, როდესაც მშობლის მოქმედებას სისხლს აფეთქებს, ადუღებს, აჩუხჩუხებული იწმინდება, წყდება და არა თავისებურის ჩაჩირქ-ჩალურ ჯებულისგან ხდება ლალებრივი, ამცვავებელი და აღამალებლები არსებისა. ეს იყო წუთები როდესაც მშობელი ასაზრდოებს თავის ავადშეობს შვილსა, როდესაც მშობლის რე ჩამომხმარს სხვა საზრდოსგან. გონებას უნარლებს. ჩამწვარს, ჩაშრობილს არსების ნიადაგს გაანგლე'ს, მის ქმნილების და კაცობრიობის გრძნობის წვენს მოძრაობაში მოიყვანს.

აქვე მთებში!.. მთები კავკასიონისა ბუმბერაზნი!.. აყვავებულნი ათას ფერადათ, ამ-წვანებულნი, ფერხულად ჩახვეულნი, ტყენი ერთობის სადიდებულად და შორს, შორს მთებზედ მყურებელი საოცნებო მყინვარი? ოდნავად ნიავა, მთრთოლვარი. ცელქი, დაუცხრო-მელი, მოუსვენარი, რომელიც შესთამაშებს ბუნების კეკლუცს ჩხევით აშმაგებს, სურნელებით აღსავს ფერფლს უგუნდრუებს ზეც-ს!.. იქავ ახლო მახლო გორა, თავის ნანგრევებით, ციხისა და მონასტრის ნაშთებით გამოიყურებიან წაჲსულის გასახსენებლად და უსიტყვოდ აგონებენ კაცს თავის საკუთარს ვინაობას!

დაკლაკნილი ბილაკი!.. დაკლაკნილა ვითა სიტყბოების ძალას დაეგრიხა გრძნობით აღსავს შმაგი და მის ნაპირებზე ხეებს ჩამწახულ მჭიდროთ დაცვარ-მარგალიტიანი ვაჲები!..

ალ. ყაზბეგი.

(შემდეგი იქნება )



## ჯვარედინს გზაზე.

ერთს დროს ჩვენი სამშობლო ჯვარედინ გზაზე იდგა. ერთი გზა რომ დასავლეთისკენ მიღიოდა, მეორე საწერეთ-აღმოსავლეთისკენ იყო მიმართული და ეკროპიელ ჯვაროსანთა რაზმები თუ არაბ-სპარსელ სოვერავართა ქარავნები ერთი მეორეს ხედებოდნენ საქართველოს მიწაწყალზე. ამ ხშირი მიმოსვლისა და ხანგრძლივი ურთიერთობის კვალი დღესაც ნათლად ატყვა ჩვენს ქვეყანას. ჩვენი ეროვნული კულტურა დასავლეთ-ევროპიული და წინა-აზიური ელემენტების თავი ებური შეულებაა. ეს ყველაფერში აშკარად სჩანს, ხუროთ-მოძღვრებასა, მხატვრობასა, ლიტერატურასა, ხალხურ ჩვეულებებსა და ზნეობრივ შეხედულებებში. დედამიწის ზურგზე სხვაგან იშვიათად მოიძებნება ასეთი ორიგინალური სინტეზი.

ჩვენ გვაქვს წვეტიანი კოშები და ციხე სიმაგრეები, როგორც ევროპიელებს და ჩვენ გვაქვს თალიანი ქარგასლები, როგორც არაბებსა, სპარსელებსა და მცირე აზიელებს. ჩვენი საეკლესიო კედლების მხატვრობა ბიზანტიურ ფრესკებს წააგავს; ჩვენი წიგნების სამეცაულები სპარსულ-ინდოურ მინიატურებს. ჩვენს კულტურას ევროპიულ კულტურის მსგავსათ ქევლი ბერძნული განათლება უძვეს საფუძვლად და ჩვენც ევროპიელებთან ერთად რაინდობისა და ფეოდალურ წესშემნილების საფეხური განვლეთ. მაგრამ ინდოელების სიბრძნესა, სპარსელების პოეზიასა და არაბების ფხიზელ მეცნიერებას სხვებზე აღრე დავეწაფეთ და სხვებზე უფრო ადგილად დაგახმიერთ თავი საშუალო საუკუნოებრივ ვიწროობას. ჩვენი დიდი მწერლები ერთნაირად იცნობდნენ ბერძენ ფილოსოფოსებსა და სპარსულ მგოსნებს და ჩვენი დიდი მთარგმნელები გულმოდგინეთ აქართველებდენ როგორც არისტოტელისა და

ნეოპლატონიკოსების ისე ფირდუსისა და ფახრედინის ნაწარმოებებს. ჩვენი ზნეობა ინდიუსტრიული იყო, ისევე როგორც დასავლეთ-ევროპიული, მაგრამ მისი სიმძაფრე გაანელა ღლისავლეთურმა მსოფლიო მერძნობიარობამა და შემცნებამ.

ჩვენი ეროვნული სახე ძალატანებულად ყოველთვის დასავლეთისა და სამხრეთისაკენ იყო მიმართული. ზურგი, პირიქით, დიდს ბუნებრივს ზღუდეზე გვქონდა მიბჯენილი. ეს იყო მაღალი მთაგრეხილი, რომელსაც ჩრდილოეთით ცივი და ნაკლებ სტუმართ-მოყვარე ქვეყნები აკრავდა. აქ თითქმის დღესაც ყველაფერი უკხა ქართველებისთვის. ნიადაგის ზედა პირი ჩვენი ქვეყნის ზედა პირს არა ჰგავს, პავა ჩვენს ჰგას. აქ ცოტაა ისტორიული ნაშთები და მათ შორის არ მოიპოვება არც ჩვენებური მოღუშული ციხეები, არც ჩვენებური ნათელ-მარმარილოსებური ტაძრები. ქვეიდრთათვის გაუგებარი ჩვენი რაინდული და ინდივიდუალისტური შეხედულებები, ჩვენ კიდევ მათი ბუნდოვანი მისტიკიზმი და მათი უპიროვნო მორალი გვეუცხოვება.

უბედურმა შემთხვევაში დაგვაახლოვა ამ უკხა ქვეყანასთან და ჩვენი სულიერი შულება უკანონოა. მეცამეტე საუკუნეში სპარსეთის კულტურა ველურმა მონგოლებმა დაამხეს, მეთხუთმეტე საუკუნეში ოსმალებმა ბიზანტიის იმპერია დაიპყრეს. ჯვარედინი გზა გადაიჩება და საქართველო კულტურისან კაცობრიობას მოსწყდა. ერთი ბილიკი-ლა დაგრჩია, კავკასიის მთაგრეხილისკენ მიმავალი, და საქართველო, დიდი ყოყანის შემდეგ იძულებული გახდა ამ გზისთვის მიემართა, ამგრამ ამ გზით სიარულმა ყველაფერი მოგვიტანა გარდა ბედნიერების და კულტურული აყვავებისა.

დღეს მსოფლიო ომის ცეცხლში ხელახლა იცვლება ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა. დღიული შესაძლებელია, რომ ჩვენმა ეროვნულმა კულტურამ ხელახლა თავი დაალწიოს ვიწრო ბილიკებსა და ფართო ჯვარედინ გზაზე გამოვიდეს. როგორც არ უნდა დამთავრდეს დღევანდელი ომი, წინა-აზიის გამოღვიძება უეჭველად მოსალოდნელია. რუსეთი და გერმანეთი ერთ გვარი ენერგიით მიისწრაფვიან შეუ მდინარისაკენ, სადაც ბიბლიური გაღმოცემის მხედვით ერთ დროს ამ ქვეყნიური სამოთხი იყო. დღეს თუ არა ხელუსათუოდ დამთავრდება ბალდალის რკინის გზა, რომელსაც გერმანელები აშენებენ და ტრაპიზონისა და აზრუმის შტოები, რომელიც რუსები დაიწყეს. ჩვენი უახლოესი ვეროპიელი მეზობლები, ბალკანეთიც, ილვანის და ეერაპიულ პროგრესის გზას აღვება. ეს გარემოება ჩვენს საუკეთესო იმედებს უნდა ისაზრდოებდეს. თუ საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებში ბარბაროსობის წყვდიადი გაიფანტა ჩვენ თვალწინ ძევლი დიდი გზები გამოჩნდებიან და ხანგრძლივი გათიშვის შემდეგ იმ კულტურისან ოჯახს დაუგუბრუნდებით, რომელსაც დიდი გარსულით.

გერონტი ქიქოძე.

## ფიქრები მშობლიურ ხელოვნებაზე.

გვეჯის რგოლი

წარსულში ჩვენი ცხოვრება დამთავრებულ რგოლთა წესებაა მათ შორის მჭიდრო კავშირია, ერთი მეორეში იმის და ეს ჯაჭვია ჩვენი ისტორია. ყოველი რგოლი მისი ეპოქის სტილია, მისი ინტიმობა... საოცარი თვისებისაა მათი ფორმა, სიმტკიცე და ხალასობა: რება—რაც მის ხანას შექვერის, რაც ტიპიურია ეპოქისათვის, ხოლო ყოველი სიმსუბუქე, ზედნაშენი, რაგინდ მიმზიდველი იყოს, უკვალოდ ჰქებდა. ამის მიზეზები ჩვენს გარეშეა და ისტორიის წინაშე უძლურნი ვართ: თუ მან არ მიიღო ჩვენი ყოფა და ქმნა გარიყულნი დავრჩებით—“აღარაფერი მოაგონებს ჩვენს აქ ყოფასა”.

ას ჰედება ყოველ დარგში, მაგრამ ხელოვნება ყველაზე უფრო ძლიერი არგუმენტაციაა ამ დებულებისა: მაზედ ინტიმორი არ არის სხვა სფერო და ეპოქის სტილსაც. ისე ძლიერ ვერ ამოსწურავს სხვა დარგი.

ამიტომ ყოველთვის ისტორია სტებს სწორ საზღვარს ჭრიშვარიტსა და ყალბ ხელოვნების შორის, კრიტიკის ალლო სცდება, ისტორიის სიტყვა არასიღონის.

რამდენი - თავისიღოზე—წარჩინებული და „ბუმბერაზი“ გაპქრა! გვარებიც აღარ გვახსოვს... გუშინ კი მათ გვინისებს უქმბობდით და „უკვდავებაში“ ჩაგრიცხეთ. ისტორიამ გაასამართლა და მის ზევით ინსტანცია აღარ არის.

მაგრამ ჩვენ მაინც ვსცდილობთ, გვინდა მას ალლო აუღოთ; გვინდა ვიცოდეთ—რო-

მელ ქმნას მიიღებს იგი, რომ ჩვენი ყოფა უქმი არ დარჩეს, გვინდა მკვიდრ ნიადაგზე დაცვდებოთ და „წარტომართოთ სვლანი ჩვენი“.

ამ მხრით ვუდგებით დღეის ხელოვნებას საქართველოში და გვინდა ვიპოვოთ სად არის მომწყვდეული მისი ინტიმობა. ვინ სოქვა ეპოქის ენით? ვინ ასახა მისი სტილი? უკეთ რომა ვსტევათ—ვის მიიღებს ისტორია?

დღეის მსჯავრი ხშირად შეაბლონია: იაფფასიან მას შტაბით ვუდგებით ხელოვანს, თუ მას კითხულობენ, გუნდრუქს უკმევენ, თუ მას ხალხი მიჰყება, თუ ის დღიურ ჭირ-ვარამზე ლალადებს—ჩვენში მას იღებენ, უკვდავად რაცხვენ. ვეკადოთ დავალწიოთ ამ შაბლონს. ეპროპაში იგი კარგა ხანია გადალხა—ჩვენ კი ეფექტები გვაჯადოებს... წარსულის რგოლებზე ლაპარაკი ეხლა ალარ ლირს: ისტორიამ გაამართლა შოთა, ჩახრუხაძე, ბესიკი ბარათა-შვილი, ყაზბეგი, აქაკი, ილია, ვაჟა და ზოგიც სხვები.

მე დღეისახე ვიტყვი—იმ რგოლის შესახებ, ჩვენ რომა ვართ შიგ მომწყვდეული.

არც დღეის ხელოვნებაზე შეგვიძლია სავსებით ლაპარაკი:

ხუროთმოძღვრების ერთი ნაკვეთია, მუსიკის ორიოდ ჰანგი, მხატვრობის ჩანასახი.

ამ რგოლში სხანის ხელოვნებიდან მარტო პოეზია. ამ გზას რო გავყვეთ მისი ბილიკებიც ვერ გვანუგეშებს: ორიოდ რომანი, ამდენიმე დრამა, პოემა და სატირა... და დაუსრულებელი ლექსები...

ბოლოს და ბოლოს ჩვენი ხელოვნებიდან გვრჩება მარტო ეს ლექსები. ჭეშმარიტად, რაფ-ფასიანი საკრედიტო ბილეთებია, რომელმაც უნდა ჩვენი სიღარიბე დაპუარონ.

ეპოქის სტილს ლექსი კარგად შეინახავს, მაგრამ მის სულს ვერ დარცავს სავსებით, ამისათვის უფრო რთული განცდა საჭირო და არა წუთის ნაკვესი.

ეს, რა რიგად გვწყურია რომანი, ჩვენი ცხოვრების სარკე, მისი ძარღვის ცემა, მაგრამ... არ არის მწერალი, რომ მშრალი ენა გაგვისველოს, ცოტა გვასვას და წყურვილში ვიხოცებით, წყურვილი გვკლავს.

სხვებთან მივდივართ: რუსულს, გერმანულს და ფრანგულს ვეზიარებით:— ოდნავ ვანელებთ უინ მოსულ წყურვილს და როდესაც საქართველო გვინდა გავახვიოთ ამ რომანში, უხერხულობას ვგრძნობთ, ვერ უდგება ეს მოსახამი ჩვენ სულს.

ბევრი ტკივილი აწუხებდა არჩ. ჯორჯაძეს მოლიან ბუნებას, მაგრამ მათ შორის ეს ტკივილიც დიდი იყო: ქართულ ეპოსს, რომანს უკდიდა და ვერ მოესწრო. მისი სულის სიმდიდრე სცემს ამ წადილში, მას (პუბლიცისტს) ვერ აქმაყოფილებდა ჩვენი სოციალური და ეროვნული ზრდა, რადგან განიცდიდა ხელოვნებას და იკოდა მისი ძალა. იკოდა რომ უმისოდ უძლურნი ვიყავით.

შეიძლება ვერც ჩვენ მოვესწროთ ამას და ჩვენი ეპოქის რგოლი ისე შეკრას, რომ მისი მაჟუავენებელი ხელოვნება ასევე მკრთალი დარჩეს.

გარეგნულად თითქოს ყველაფერი რიგზეა: სალიტერატურო საღამოები, უიური, კრებულები და წარმოდგენები ფუტურისტებიც კი...

თითქოს ნამდვილმა ლიტერატურამ გული აგვისუყა ექსკენტრიკობასაც, ვიჩნო. ნამდვილად ყველა ეს მოჩვენებაა, ქარისაგან წამონაბერი და ეპოქის რგოლში ვერ მოემწყვდეს. ჩავხედოთ გულის სილრმეში—სად და რად არის სნეული? რაც უნდა ჩვარის ტემპით განვითარდეს ჩვენი სოფელი, მაინც შორს არის იგი ქალაქიდან.

აქ სხვა ინტერესებია, სხვა ძარღვი სცემს, სხვა ხალხია. თუ ევროპაში სოფელი იგივე ქალაქია მინიატიურაში, ჩვენში იგი უსაზღვროთ ჩამორჩენილი, მიტოვებული და ყრუა. მასშია განვითარებული მარტოოდენ შრომა, ხშირად აუნაზღაურებელი, უსაშინელეს პირობებში... სულიერ მოთხოვნილებას აქ აღვილი არა აქვს, კულტურის ჩანასახი-ლა ბჟუტავს ოდნავ, გარდა დღიურ ჭირვარამისა, განცდა არ არსებობს და ჩვენს ინტელიგენციას სძულს სოფელი მას არ შესწევს უნარი, შექმნას, გააჩალოს ცხოვრება... მას თავგანწირება აკლია, მზაუყარს და საცა მას ხედავს, იქ ეტანება ფუტკარივით. ამიტომ იგი აწყდება ქალაქს და ჩვენი გლეხი იხშობა სიბნელეში. მან არ იცის ღრმა განცდა, მისი აზროვნება სადაა—გუთანს რომ დასტრიალებს. საშინელი კონტრასტია, და ჩვენ დღემდე არ გვიცდია გულწრფე— ლად ხიდის გადება.

ჩვენი მწერლებიც ხომ უმეტესად ინტელიგენციას ეკუთვნიან, თუმცა ინტელიგენტობას და ცოდნას საკმაოდ დაშორებიან.

მხოლოდ ერთში სცემს ძლიერ ეს თვისება.— კულტურის ზედაპირის დაწაფებაში. მისი პრეცენტალ თვალები იტაცებს ჩვენს მწერალს. მას არ ესმის გლეხის სიყვარული. მისი განცდა, ტრაგედია—უკედ რომა ვთქვათ აქ ვერ ხედავს თავის დამაყმაყოფილებელ ტრაგიულ

იერს, პლასტიურობას. ეს მართალია... გლეხი სატრფოს ლირებულების თვალით ზომებები უშერესად, იგი მასში ხედავს ოჯახის მომავალ წევრს მუშა ხელს.

რამდენადაც ქალი ჯანმრთელია, იმდენად უფრო მიმზიდველი ხდება მისთვის. ეს არის ნამდვილი პრიმიტივი სიყვარულის მაღალ გრძნობაში.

ამის მიზეზებიც ცხადია: გლეხის ცხოვრების მატერიალური პირობები, სოციალური წყობის უკულმართობა. და ყველა ამასთან ჩვენი სოფლის უკულტურობა, მისი ზნებრივი ჩამორჩენა და სულიერი სილატაკე. აქ არის საჭირო დაუღალავი შრომა ცხოვრების გარდასაქმნელად და ჩვენი ინტელიგენციაც ამ შრომას გაუჩრდის, იგი მცონარება.

ამიტომაც არც ერთმა, ცოტათ თუ ბევრად, სერიოზულმა არ იცის ჩვენი სოფელი და არც უნდა იცოდეს. ამ ცხოვრებიდან იგი ვერას მოგვცემს.

დარჩა ქალაქი, საცა აუარებელია ჩვენი მშერლობა, მაგრამ ფრთა აუსხმელი. ქალაქის ატმოსფერაც მისთვის სულ უცხოა, არა ქართული და მისი შთაბეჭდილებანიც ნამსხრევი. საგან შესდგება, რომლებიც დაუსრულებელ ლექსთა წყებად გადმოდის.

ეროვნული სული შეულახველი დარჩენილა შარტო სოფლად. თუმცა მისი კულტურული სულა ფრიად შეფერხებულია დღეს. ქალაქი კი ჭრელია ამ სიტყვის მნიშვნელობით. ჩვენ არ ვიცით დღეს ქართული. სულის მატარებელი ქალაქი და ჩვენი ინტელიგენტიც იბნება, იყარება მის სხვადასხვაობაში აი იშვა მის არსებაში იდეა შემოქმედებისა და აის შემდგომ იგი მტანჯავი ხდება მისთვის, რადგან ვერ ჰპოვა მისთვის ქართული სული, სახეები, სტილი და თავი. რომანის ტრაგედია უნდა თანდათანობით გაიშალოს, გაღრმავდეს და სწორება აქ გზა ეხშობა მას. ქალი და მისი ბუნება, რომელიც უკვდავი ამოცანაა ხელოვნებაში და კერძიდ რომანში მოევლინება ქართულის გვარით. მაგრამ უცხო სულით. ის ქალი, როელსაც ჩვენ სინამდვილეში ხედავს, ვერ აქმაყოლებს მას. ვერ უდგამს სულს მის აღმაფრხნას. და რამდენადაც უფრო ღრმად შესცურავს მის არსებაში ხელოვანი, იმდენად უფრო დაინახავს რომ, ქალის სული დამსხვრეულია, ხელოვნურად შეზავებული არა მონათესავე ნაწილიდან ვნება მიქრალი, და ანგარიშ მიცემული... და იტრაჯვის მშერალი მარტონით, ხედავს, რომ „ქართველი ქალი“ არ არის ჭრებიტი არსება დღეს, რომ მის გარდაქმნამდე — ქართველ ნიადაგზე ინტელიგენტობამდე, მისი ასახვა პოეზიას ჩრდილავს. ფრიად ხელოვნურად ხდის. და განა შარტო ქალის საზოგადო ჩვენს ქალაქში, არ არის ნამდვილი ქართული ინტელიგენტური წრე, ცხოვრება... თითო-ორთლა სახე ხომ ტიპი ვერ გახდება. და რაც მთავარია, ეს ორიოდ წრეც მოწყვეტილია ქართველობას, მას აკავშირებს ჯგუფობრიობა, წარმავალი ინტერესები და არა მთელი ქართველი ხალხი.

მშერალმა უნდა ღრმად განიცადოს, რომ იგი მთლიან სხეულის ნაწილია, არა მოკვეთილი, არამედ ზედსხმული, — მისი სისხლით იყვებება და მისი ძარღვებით უცემს გული.

უცხოელი მშერალი აქას განიცდის, იქ მის ერის სული ტრიალებს მისი სტრიქონებით და ენით ხალხის ინტიმობა მეტყველებს.

ჩვენი ეროვნული სული დანგრეულია, მისი სიმტკიცე მარტო სოფლად სჩანს საცა ჯერ კულტურას ფეხი მოუკიდნია.

მარტონა, გარიყულობა შექმნილა ქართველ მშერლის მეგობარი და ისიც მიყვება ამ გზას. იფეთქებს ჩასში ცეცხლი ღვთიური და მიქრება რაკი თავის გამო ხმაურებას ვერ ჰპოვებს.

ხოლო ეს ჩამქრალი ცეცხლი ღდნავ ნაფერფლებს სტოვებს, სევდის ნაფერფლებს რომლებიც ლირიკის სახით აგრე რიგად სჭარბობს ჩვენს პოეზიაში და დიდი მშერლის ჩანასახი მელექშედ კვდება, თავის განცდას ვერ განშორებია, ობლობა ვერ ჩაუკლავს, სიყვარული ვერ მოუძებნია.

აღსდგება მკვდრებით?

სანამ ცოცხალია რწმენა, რომ ჩვენი ხალხი ილეიძებს, წინ მიდის მასში ვითარდება შეგნება — რომ ჩაწილია მთელის სხეულის, მანამ არ ქრება იმედი ალდგომისა. თუ ჩვენი გზაც საერთო კულტურის გზაა. მაშინ ჩვენ სოფელშიაც უნდა ღრმად შეიჭრას სინათლე მზისა, რომ ქართველი ინტელიგენტი ქართველ ხალხში დარჩეს მისი არ ეშინოდეს და სოფლის ტრაგედია შეიყვაროს, ინათესაოს, როდესაც ქალაქში ქართული სული გაჯდება და როცა კულტურულად სოფლები პატარა ქალაქებად იქცევიან, მაშინ დაიწყებს ერთი ძლიერი ძალვის ცემა და ქართველი ინტელიგენტც განაგრძობს სამშობლო ქვეყნის ტრაგედიას...

მანამ კი უნდა ვეცადოთ მთელი ძალა შევალიოთ ამ კულტურულ ამა-

ღლებას და არ ვავექცეთ სოფელს, რომელიც სალაროა ეროვნულ ხელოვნებისა.  
აქ ჩაეყრება საძირკელი ჩვენი ცხოვრების განახლებას, აქ იშობა ნამდვილი ქალი,  
რომელიც ბუნებრივად ჩაუდგამს სულს ჩვენს გრძნობათა სამდიდრე დამკვიდრება ხელოვ-  
ნებაში.

არა წარჩავალ, ფუქსაზატ გრძნობათა, დღეის ლარიკაში რომ სცემს, არამედ ძლიერ  
წარუხოცელ, რომელიც შეიცყრობს ჩვენს სულს მშვენიერის ტყვეობით.


ხოლო დღეს ჩვენი „ეპოქის რგოლი“ შეიძლება ისე შეიქრას, რომ მის ნამდვილ მხა-  
ტვრულად ამსახველს ვერც მიაკვლიოს. მაგრამ ეს მაინც ვერ მისკემს საბუთს მომავალ  
მეისტორიეს დაასკვნას, რომ ჩვენი ხანა მარტომდენ წუთიერ სწრაფვითა განცდით ამოი-  
წურებოდა, რომელნიც ასე უხვად ისახება დღეის პოზიში.

იგი ობიექტივისტი იქნება და შორიდან უფრო ნათლად დინაზავს, რომ დიდი იყო  
იდუმალი მუშაობა, მაგრამ გარეგნულად არ სახლო.

მართალია ეს „რგოლი“ ბევრ უკვდავთა სახელს ვერ შეგვინახავს, მაგრამ იმ ძიების  
ხაზებს, რომლებიც ჩვენში იყო განვითარება, იგი მიიღებს და ჩვენი სადღეისო ხელოვნების  
რგოლიც ამ ძიებით ამითწერება იგი სუსტია როგორც მთლიანი სახე, მაგრამ ძლიერი რო-  
გორც მეამბოხის ხმა და ამ ხმაში ყველაზე ძლიერ გაისმის ერთი ლოზუნგი: ძირს ბორკი-  
ლები, ჩვენ ვეძებთ ახალ გზებს ..

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას!..  
დღეს მარტო გზა იკაფება და ამ კაფვას ჰსახავს ახალი რგოლი.

აკაკი ჭავაგა.



40 ასტ.

235

## გ ა ნ დ უ კ ი:

სანდრო შანშიაშვილი. სულის ძახილი.

კ. მაყაშვილი.	გული.
შიო მღებიშვილი.	* *
ს. ფაშალიშვილი.	ჭლექი ასული.
გ. ლეონიძე.	ქარგა.
კიკნა-ფშაველა	უკანასკნელი ლექსი.
ინ-ბანი.	სიყვარული.
ნარკანი.	ხილულის გადაღმა.
თ. იანელი.	იმედის ღილა.
განდეგილი.	შეწყვეტილი ზღაპარი.
ნ. ლორთქიფანიძე.	სიზმრები.
ალ. ყაზბეგი.	ბედეჯრულაძის ოჯახი.
გერონტი ქიქოძე	ჯვარედინ გზაზე.
აკაკი პაპავა.	ფიქრები მშობლიურ ხელოვნებაზე.

